



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №047/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - გიორგი ჩიკვილაძე

საქმის ფაქტები

ადვოკატის (საჩივრის ავტორის) განმარტებით, საპაეჟრო სიტყვისა და ახსნა-განმარტების ეტაპის დროს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა მის მიმართ გამოიყენა შემდეგი სიტყვები/ფრაზები: „მეჯღანუაშვილი“, „ბოლშევიკური სულისკვეთება“, „კონსტიტუციურ უფლებებს ამოფარებული სამართლებრივი შულერი“, რაც განმცხადებლის აზრით, წარმოადგენს შეურაცხყოფას და კოლეგიალობის პრინციპის უხეშ დარღვევას. მოპასუხე ადვოკატი უარყოფს აღნიშნულს და ამბობს, რომ მის მიერ გამოყენებული სიტყვები იყო პასუხი საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებაზე, სადაც მან გამოიყენა შემდეგი სიტყვები/ფრაზები: „...მორალზე საუბრობს მოსარჩელის წარმომადგენლები, რისი უფლებაც მათ არ გააჩნიათ და ბოლშევიკური სულისკვეთებით აღსავსენი, ზრახვენ მოპასუხეს რამოდენიმე ბინის ქონებაში...“; „...უკეთესი მატერიალური ცხოვრების ძიების საქმეში - ერთი წარმომადგენელი თეთრიწყაროდან, ხოლო მეორე ოზურგეთიდან (იგულისხმება მოპასუხე ადვოკატი) გახლავან თბილისში ჩამოსულები და მათ მიერ ნახსენები მორალის გათელვით, ყველანაირი გზით, ცდილობენ შემოსავლის მოპოვებას“; „...საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების მოყვანა, თვალისახვევაა, ჭიქაში ქარის დაყენება და სიმულაცია გახლავთ...“ „მოსარჩელის ექსკურსი სასამართლოში კეთილსინდისიერების შესახებ, არაფრის მომტანია და უადგილო დროის კარგვაა“; „ჰკითხეთ ქალბატონ მოსამართლეს იცის რაიმე მისი მეზობლების შესახებ, აქვს ჭორიკნობისა და ლაქლაქის დრო? არა. ასეთივე დაკავებული და მოუცლელი გახლავთ ჩემი მარწმუნებელიც. რაც შეეხება განსხვავებას თბილისსა და სოფელს შორის, ამის შესახებ მე უკვე მოგახსენეთ.“ მოპასუხე ადვოკატის განმარტებით, მან სასამართლოსადმი წარდგინილ წერილობითი ახსნა-განმარტებით პასუხი გასცა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის (საჩივრის ავტორის) ზემოაღნიშნულ არაკორექტულ და შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს, კერძოდ, მიუთითა შემდეგი: „აღნიშნულის გათვალისწინებით, მსხვერპლის წარმომადგენლობისათვის ბოლშევიკური სულისკვეთების დაწამება (რომელიც ნამდვილად გვირჩევნია მეჯღანუაშვილის სულისკვეთებას) და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად მორალის მოშველიება, ჩვენი აზრით, მართლაც და კონსტიტუციურ უფლებებს ამოფარებული საშოვარზე გასული შულერის სიმულაციაა, რასაც დარწმუნებული ვარ აუცილებლად შეამჩნევს სასამართლო“.

სამართლებრივი შეფასება

კომისიის შეფასებით, არ არსებობდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5(გ) მუხლის, აპეკ-ის მე-7, მე-10.1 მუხლებით გათვალისწინებული ქმედება და მოპასუხე ადვოკატის მიერ გამოთქმული ფრაზები ექცევა სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში.

ეთიკის კომისიამ თავისი გადაწყვეტილება დააფუძნა საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლსა და სიტყვისა და გამოხატვის შესახებ კანონის დანაწესებს, რომლის მიხედვითაც აღნიშნა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების მაღალი სტანდარტის ადამიანს აძლევს შესაძლებლობას გააკეთოს ისეთი განცხადებები, რომლებიც შესაძლოა ადრესატისთვის იყოს მიუღებელი.

¹ <https://gba.ge/pdf/5d2eeb5c4acc0.pdf/047-18%20%20%20%20%2005.02.19%20%20%20%20%20ar%20agdzvra.pdf>

მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს აქვს პროფესიული ეთიკის დაცვის ვალდებულება, ამ ვალდებულებასაც აქვს თავისი საზღვრები, რომლებიც კონკრეტული შემთხვევების მიხედვით უნდა დაადგინოს კომისიამ. მოცემულ შემთხვევაში კი ადვოკატის მიერ დაცულია გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, რომელიც კონსტიტუციითა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონითაა განმტკიცებული. მითითებული ფრაზები უმეტესწილად ეხება მხარეთა შორის არსებულ სადავო საქმესთან დაკავშირებით ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას და გამომდინარეობს კლიენტის ინტერესების დაცვიდან. საჩივრის ავტორი არის მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი და მისთვის შესაძლოა, არ იყოს მისაღები ადვოკატის მიერ წარმოდგენილი შეფასებები სადავო გარემოებებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს შეფასებები არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის და მიზნად არ ისახავს ადვოკატის ღირსების შელახვას. ის ექცევა აზრისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად. მიუხედავად ზემოთ განვითარებული მსჯელობისა, კოლეგიამ მაინც მიუთითა ადვოკატის ეთიკის კოდექსზე და განმარტა, რომ ადვოკატები ვალდებული არიან მაქსიმალურად შეეცადონ ეთიკური მინიმუმის დაცვას. საქმიანობის განხორციელებისას, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე იმოქმედონ კოლეგიალობის დაცვის ფარგლებში მაღალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად. მოსაზრებების გამოთქმის დროს არ გასცდნენ პროფესიული საქმიანობის მიზანს და მხოლოდ ამ მიზნიდან გამომდინარე წარადგინონ შეფასებები გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ, მართალია, მოცემული მოსაზრებები წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის მიერ მითითებულ გამონათქვამებზე პასუხს, თუმცა მიზანშეწონილია, კოლეგებმა თავი შეიკავონ ორაზროვანი შეფასებებისგან, რომლებიც შესაძლოა, მეორე მხარის მიერ შეურაცხმყოფელად იქნეს აღქმული.

დასკვნა

საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატის გამონათქვამები ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, ამიტომ მის წინააღმდეგ არ აღძრულა დისციპლინური დევნა.